ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
გ.შ.№86/19

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მინისტრის მოადგილის ილია ბეგიაშვილის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს „ორისი" მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1]მუხლის მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 3 დეკემბრის № 4707 განკარგულებისა (SMP190004488) და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) 2019 წლის 26 ნოემბრის N 5175-01 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

<u>მუხლი1. ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის საჭიროებისათვის პროგრამა „ორის მენეჯერის" სერვერის ლიცენზია MSL/U 1 სერვერისა და პროგრამა „ორის მენეჯერი" MN1/U 5 სამუშაო ადგილის (ქსელში) განახლებული ლიცენზიის მიწოდება (CPV - 48990000) _ შემდგომში მომსახურება.

1.2.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები მოცემულია სალიცენზიო ხელშეკრულებაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (დანართი №1).

<u>მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.</u>

2.1. ხელშეკრულების მთლიანი და ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენს 8 153.00 (რვაათას ასორმოცდაცამეტი) ლარს.

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

<u>მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა</u>

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

<u>მუხლი 4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი</u>

4.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. ამ ხელშეკრულების ძალით გაწეული მომსახურების შემოწმებას, მიღება-ჩაბარებას და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის გაფორმებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ან/და ამავე სამმართველოს მთავარი ბუღალტერი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

<u>მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;

გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა - 01.01.2020-31.12.2020წწ პერიოდის განმავლობაში;

დ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1% ოდენობით, მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ინსპექტირება

8.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის პირველი იანვრიდან და ძალაშია 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3.არც ართ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავის უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.4. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში.

10.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.7. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, საიდენტიფიკაციო კოდი 204 564 845, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის GE24NB0330100200165022, კოდი TRESGE22.

ხელმოწერა Ilia Begiashvili Digitally signed by Ilia Begiashvili Date: 2019.12.05 15:57:32 +04'00' **ილია ბეგიაშვილი**

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. ,,ორისი ", მის. სქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12ბ. სს ,,საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი №BAGAGE22, ანგარიშის №GE 88 BG 0000 0001 2012 1601, საიდ. კოდი 206 033 754.

ხელმოწერა Ltd ORIS Digitally signed by Ltd ORIS Date: 2019.12.05 16:26:34 +04'00' **დავით გოთოშია**

ბ.ა.

დანართი №1

სალიცენზიო ხელშეკრულება

საავტორო უფლება

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით. ყველა უფლება პროგრამაში ინტეგრირებულ Microsoft Visual Basic for Applications-ზე ეკუთვნის კომპანია Microsoft-ს.

სალიცენზიო უფლებები

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში - ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

მონაცემთა ბაზა

პროგრამის მუშაობისთვის საჭირო მონაცემთა ბაზაა MS SQL Server 2008 R2 (რეკომენდირებულია). (მონაცემთა ბაზის ძრავის [Engine] ფასიანი ვერსიის [მაგალითად Enterprise Edition–ის] შეძენა ხდება საბოლოო მომხმარებლის მიერ თუ ასეთი ვერსიის საჭიროება შეიქმნა საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენება უფასო [Express Edition] ვერსია, რომელსაც აქვს გარკვეული შეზღუდვები [ბაზის ზომა მაქსიმუმ 10 GB, 1 GB ოპერატიული მეხსიერების გამოყენება, იყენებს მხოლოდ 1 პროცესორს])

პროგრამის მინიმალური მოთხოვნები

პროგრამას შეუძლია იმუშაოს შემდეგი ოპერაციული სისტემების ქვეშ: Windows XP/Vista/7/2003/2008.

შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს თქვენს ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

შპს „ორისი“ დირექტორი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. მინისტრის მოადგილე

---------- დავით გოთოშია

---------- ილია ბეგიაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080112683870319

№ 4707

03 / დეკემბერი / 2019 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 28 ნოემბერს (18:01 სთ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ წარმოადგინა SMP190004488 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს პროგრამა „ორის-მენეჯერის“ სერვერის ლიცენზია MSL-ის, მისი ერთი სერვერისა და 5 სამუშაო ადგილის (ქსელში) განახლებული ლიცენზიის შესყიდვას (48900000 - სხვადასხვა სახის პროგრამული პაკეტები და კომპიუტერული სისტემები; 48990000 - დინამიკური/ელექტრონული ცხრილებისა და ფუნქციური უზრუნველყოფის გაუმჯობესების პროგრამული პაკეტები), ღირებულებით 9000.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საფინანსო საქმიანობას ახორციელებს საბუღალტრო პროგრამა „ორის მენეჯერის“ მეშვეობით. პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭიროა „ორის-მენეჯერის“ სერვერის ლიცენზია MSL-ის, მისი ერთი სერვერისა და 5 სამუშაო ადგილის (ქსელში) განახლებული ლიცენზიის შესყიდვა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" მიერ 2007 წლის 13 თებერვალს გაცემული N17305 მოწმობის თანახმად, აღნიშნული პროგრამის მფლობელი არის შპს „ორისი“. შესაბამისად, შპს „ორისი“ არის ექსკლუზიური მიმწოდებელი.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საფინანსო საქმიანობას ახორციელებს საბუღალტრო პროგრამა „ორის მენეჯერის“ მეშვეობით. პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭიროა „ორის-მენეჯერის“ სერვერის ლიცენზია MSL-ის, მისი ერთი სერვერისა და 5 სამუშაო ადგილის (ქსელში) განახლებული ლიცენზიის შესყიდვა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" მიერ 2007 წლის 13 თებერვალს გაცემული N17305 მოწმობის თანახმად, აღნიშნული პროგრამის მფლობელი არის შპს „ორისი“. შესაბამისად, შპს „ორისი“ არის ექსკლუზიური მიმწოდებელი.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ საქონლის მიწოდებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს SMP190004488 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე